ექსპერტთა კომენტარი

ივნისი, 2024

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს გადახრა ავტორიტარიზმისკენ: შეუძლია თუ არა საერთაშორისო საზოგადოებას დემოკრატიის გადარჩენა?

მმართველი ქართული ოცნების უმრავლესობამ პარლამენტში პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტო დაძლია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის პროექტზე, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „უცხოური აგენტების კანონს“ ან „რუსულ კანონს“. პარლამენტმა 84 ხმით ოთხის წინააღმდეგ პროექტი პირვანდელი ვერსიით მიიღო, რაც საბოლოო ნაბიჯია კანონის აღსრულებამდე. ეს ნაბიჯი წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს საქართველოს დემოკრატიისთვის, და, ავტორიტეტული Freedom House-ის ანგარიშის მიხედვით, ქვეყანას ნახევრადკონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმების კატეგორიაში ათავსებს. საქართველოს ტრადიციული დასავლელი პარტნიორები ვაშინგტონსა და ბრიუსელში განუწყვეტლივ მოუწოდებენ მთავრობას, უარყოს წინააღმდეგობრივი კანონი. თუმცა, ქართულმა ოცნებამ, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და შიდასაზოგადოებრივი ვნებათაღელვის უგულებელყოფის ფონზე, კანონის ძალაში შეყვანა გადაწყვიტა.

მოვლენათა ამგვარი განვითარების ფონზე, **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის** თხოვნით, ქართველმა და საერთაშორისო მკვლევრებმა უპასუხეს შემდეგ კითხვებს:

- *როგორ შეუძლია საერთაშორისო საზოგადოებას, უპასუხოს არადემოკრატიულ გადახრას საქართველოში და ქართული ოცნების მისწრაფებას ავტორიტარიზმისკენ?*
- *რა შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას, გააკეთოს, რათა წინ აღუდგეს წნეხს არსებულ კონტექსტში?*

ტანია ა. ბორძელი

პოლიტიკის მეცნიერებათა პროფესორი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის, ოტო სუჰრის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ევროპული ინტეგრაციის მიმართულების ხელმძღვანელი

არ არსებობს თვალსაჩინოება, რომ საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია დემოკრატიის გადარჩენა. თუმცა, სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ტრანსნაციონალურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ორი რამის გაკეთება: მთავრობებს, რომლებიც თავს ესხმიან დემოკრატიებს, გადაახდევინონ შესაბამისი ფასი, და გააძლიერონ ადგილობრივი პრო-დემოკრატიული მოთამაშეები.

ევროკავშირს და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ, განიხილონ მიზნობრივი სანქციები იმ სუბიექტების წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიას და პოლიტიკური ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების რეპრესირებას. ევროკავშირმა, ასევე, უნდა გამოიყენოს მკაცრი პირობითობა საქართველოს გაწევრების გზაზე. და ბოლოს, „უცხოური აგენტების კანონმა“, შესაძლოა, შეაფერხოს ფინანსური მხარდაჭერა პოლიტიკური ოპოზიციისთვის და სამოქალაქო საზოგადოებისთვის. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოებას, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო მოთამაშეებს, შეუძლიათ, უზრუნველყონ შესაბამისი ლეგიტიმურობა და ცნობიერება.

ქრისტოფერ ბერგლუნდი

ასოცირებული პროფესორი, მალმოს უნივერსიტეტი

ნახევრად-ავტორიტარული მმართველობა და პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში დიდი ხნის ნორმაა. ეს კრიზისი განსხვავდება იმით, რომ მთავრობის მიერ ძალაუფლების მიტაცება ხდება ტანდემში ტექტონიკურ გეოპოლიტიკურ ცვლილებებთან, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო კავშირებს, ეს კი, თავის მხრივ, არბილებს მეტ ავტორიტარულ ექსცესებს. სანქციებმა კონკრეტული ინდივიდებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქართული დემოკრატიის დაზიანებაზე, შესაძლოა, დააჩქაროს მათი ძალაუფლებისგან ჩახსნა. თუმცა, ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ შეწყდეს ყალბი იმედების გაცემა იმის შესახებ, რომ საქართველოს შეუძლია შეუერთდეს ევროკავშირს 2030-ში პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების უზრუნველყოფისა და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის გარეშე, რაც ევროკავშირის არსს განსაზღვრავს.

ქართველები არასდროს „თამაშობდნენ მარტო“, პუტნამის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის მეტი, ვიდრე მისი ლეგალური ასპექტები; ის მოიცავს სოციალურ ქსელებს, თანამშრომლობებსა და კოლექტიურ მოქმედებებს ინდივიდებს შორის, რაც მათ ეფექტიან საზოგადოებად აქცევს. ბოლოდროინდელი პროტესტიდან გამომდინარე, ველი, რომ სამოქალაქო საზოგადოება საკმარისად მედეგი იქნება, რომ განაგრძოს საკუთარი ფუნქციების შესრულება, განსაკუთრებით, მოახლოებული არჩევნების მონიტორინგის კუთხით. ამ თვალსაზრისით, ქართველი ამომრჩეველი - და საარჩევნო ადმინისტრაცია - ფუნდამენტური არჩევანის წინაშე დადგება, რომ შეინარჩუნოს როგორც ქვეყნის დემოკრატიულობა, ისე ევროპული მომავალი. გამბედაობა გადამდებია, თუმცა ასევე გადამდებია სიჩუმეც.

შტეფან მაისტერი

DGAP, საერთაშორისო წესრიგისა და მმართველობის ცენტრის ხელმძღვანელი აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში

ქართული ოცნების მთავრობა ჯერ კიდევ დემოკრატიულად არჩეული მთავრობაა, და არ არის მარტივი, უბრალოდ დასაჯო ისინი პარლამენტში ხმის მიცემისთვის, თუნდაც ეს ავტოკრატიისკენ გადახრას ემსახურებოდეს. ცალსახაა, რომ ამ მთავრობას სურს საქართველოს ევროინტეგრაციის შეჩერება. ევროკავშირისთვის ერთ-ერთი არჩერვანია მთავრობისთვის ფინანსური დახმარებების უმეტესობის შეჩერება. ისინი, ვინც ძალადობრივ გადაწყვეტილებას იღებს ან ახორციელებს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობას, უნდა დაექვემდებაროს სავიზო და სამოგზაურო შეზღუდვებს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება საპარლამენტო არჩევნები შემოდგომაზე: თუ მეტნაკლებად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება მოხერხდა და ქართული ოცნება გაიმარჯვებს, ევროკავშირი გამოითხოვს კანდიდატის სტატუსს და უვიზო რეჟიმს. თუ ქართული ოცნება გააყალბებს არჩევნებს, ისინი დასანქცირდებიან ვიზის, ქონების და ფინანსური მიმართულებებით.
სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შექმნას ალტერნატიული პოლიტიკური ძალა ოპოზიციის ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელიც პრობლემის ნაწილი უფროა, ვიდრე გადაჭრის გზა. სამოქალაქო საზოგადოება უნდა მიწვდეს უფრო ფართო საზოგადოებას და ახსნას, რა არის ავტორიტარული პოლიტიკის შედეგები. არჩევნები იქნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცვლილებისთვის, სადაც სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ქართული ოცნების და საკუთარი ინტერესების მქონე ოპოზიციის ალტერნატივის კონსოლიდირებისთვის. განსაკუთრებით, ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება, ძალისხმევა მიმართოს საზოგადოების რეალური პრობლემების მიმართ, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არა სუვერენიტეტი და იდენტობის პოლიტიკა.

ტრეისი ჯერმანი

პროფესორი, ლონდონის სამეფო კოლეჯი

საერთაშორისო საზოგადოებამ, განსაკუთრებით, აშშ-მ და დასავლელმა პარტნიორებმა უნდა შეინარჩუნონ კომუნიკაცია საქართველოსთან როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეებზე და თავიდან აიცილონ ნებისმიერი „სანატრელი სცენარი, თუ რა შეიძლება მოხდეს შემდეგში“. დასავლეთმა უნდა შეინარჩუნოს ლიბერალური დემოკრატიის ძლიერი და წარმატებული შემთხვევა, რისთვისაც მან უნდა გააგრძელოს საქართველოს შიგნით დემოკრატიული ნორმებისა და პრინციპების ხელახლა განვითარების მსურველთა მხარდაჭერა.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ოქტომბერში რჩება საუკეთესო გამოსავლად ამ პრობლემის გადასაჭრელად - საარჩევნო ყუთთან, დემოკრატიის ინსტრუმენტების გამოყენების გზით, უნდა შეიცვალოს ის მმართველი პარტია, რომელიც მზარდ ავტორიტარულ მექანიზმებს იყენებს. სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა გააგრძელოს ქართული ოცნების კონტროლი, საჯაროდ დაგმოს ის აქტივობები, რომლებიც დემოკრატიის ნორმებისგან შორს დგას. მან, ასევე, უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რათა თავიდან აიცილოს ქართული საზოგადოების პოლარიზაციის გამწვავება, რომელიც, ერთი მხრივ, ქართული ოცნების სასარგებლოდ მუშაობს, მეორე მხრივ, რუსეთის, რომელიც (შესაძლოა, არაპირდაპირი ჩართულობით) იქნება კმაყოფილი გაყოფილი და დესტაბილიზებული საქართველოს ნახვით.

ტომას დე ვაალი

უფროსი მკვლევარი, კარნეგი ევროპა

ეს არის საკვანძო მომენტი საქართველოსთვის. ქართულ ოცნებას ცხადად აქვს გაცნობიერებული, რომ მან შეაფერხა ქვეყნის ევროინტეგრაციული პროცესი და ეს მას არ ანაღვლებს - მათ სწამთ, რომ რეჟიმის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანია. სავარაუდოდ, მათ სჯერათ, რომ ევროპარლამენტის არჩევნები გაამყარებს არალიბერალურ დინამიკას ევროპაში და უნგრეთი იხსნის მათ სანქციებისგან.

ყველაზე მთავარი, ამ ეტაპზე, არის საპარლამენტო არჩევნები. ხმის მიცემის სამართლიან პროცესში ქართულ ოცნებას ბევრი პრობლემა შეექმნება. ახლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის მოთხოვნა, რომ მაღალი სტანდარტების არჩევნები ჩატარდეს და წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასი მაღალი იყოს. ქართული დემოკრატია სხვანაირად ვერ გადარჩება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები რთული არჩევანის წინაშე დგანან. თუკი ისინი თავად არ დარეგისტრირდებიან, მათ უნდა შეწყვიტონ მუშაობა, ან გადავიდნენ სხვა ქვეყანაში. საერთაშორისო პარტნიორებმა პატივი უნდა სცენ მათს გადაწყვეტილებებს და ყველა შესაძლო საშუალებით უნდა დაუჭირონ მხარი, რათა ისინი გადარჩნენ.

ბექა კობახიძე

სრული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეს ბრძოლა ავტორიტარიზმის წინააღმდეგ მოგებული უნდა იყოს ქვეყნის შიგნით. თუმცა მას ვერ მოვიგებთ საგარეო მხარდაჭერის გარეშე. მყარი და მიზნობრივი სანქციები როგორც ევროკავშირისგან ისე აშშ-სგან, გამოკვეთს ქართული ოცნების მთავრობის „რუსულ სახეს“, დაეხმარება საზოგადოების მერყევ ნაწილს აზრის ჩამოყალიბებაში, და ხაზს გაუსვამს სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლის მორალს. ყოველი სახელმწიფო ინსტიტუტი საქართველოში, პრეზიდენტის ინსტიტუტის გარდა, მთავრობის კონტროლის ქვეშაა. შესაბამისად, ყველა მიზეზი არსებობს, ვივარაუდოთ, რომ არჩევნები არ იქნება არც თავისუფალი და არც სამართლიანი. საგარეო და საშინაო წნეხების კვალდაკვალ, ქართული ოცნების ძალადობრივი ძალაუფლება უნდა დასუსტდეს საკმარისად იმისთვის, რომ პარტიამ არჩევნების მიტაცება ვერ შეძლოს.

ლევან კახიშვილი

პოსტდოქტორანტი მკვლევარი, ევროპული პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ციურიხის ფედერალური ტექნოლოგიების ინსტიტუტი (ETH Zürich)

ევროკავშირს შეუძლია, გამოიყენოს პირობითობის პოლიტიკა. თუმცა, ეს, სავარაუდოდ, იმასაც ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობაც თავის თავზე გამოცდის „სტაფილოს“ წართმევის საზიანო შედეგებს.თუ საქართველო, როგორც ქვეყანა, დაისჯება, მაგალითად, უვიზო მიმოსვლის შეჩერებით, ან კანდიდატის სტატუსის ჩამორთმევით, ევროკავშირი რისკის ქვეშ დააყენებს პრო-ევროპული საზოგადოების განწყობებს და ხელს საზოგადოების იმ ნაწილის წინ წამოწევას, რომელიც ალტერნატიული საგარეო პოლიტიკის მომხრეა. პერსონალური სანქციები ქართველი პოლიტიკოსების მიმართ, შესაძლოა, იყოს გამოსავალი, თუმცა ეს, ასევე, გააძლიერებს ქართული ოცნების ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას მაშინ, როცა პარტია პოზიციონირებს, როგორც საკუთარი მოვალეობის შესრულების მსხვერპლი. სამწუხაროდ, ეს რიტორიკა მუშაობს ქართველი ამომრჩევლის გარკვეულ ნაწილზე, და სანქციები, სავარაუდოდ, პოტენციურად გაზრდის აფექტურ პოლარიზაციას საზოგადოებაში. საბოლოო ალტერნატივა შეიძლება იყოს იმ პროგრამების შეჩერება, რომლებიც საქართველოს მთავრობისთვისაა განსაზღვრული, თუმცა ეს ალტერნატივა, ასევე, მოიცავს უფრო ფართო საზოგადოებასაც.

შესაბამისად, ევროკავშირმა უნდა შეინარჩუნოს დელიკატური ბალანსი კრიზისისთვის გადამწყვეტ პასუხსა და ქართველი ხალხის პრო-ევროპული განწყობების მიმართ ბრიუსელის მხარდაჭერის დემონსტრირებას შორის. თუმცა, არ არსებობს ევროკავშირის პასუხის თვალსაზრისით ერთი კონკრეტული საუკეთესო გამოსავალი. მეორე მხრივ, ამ ეტაპზე, საქართველოსთვის განსაკუთრებით დროულია, გადახედოს ალტერნატივებს საშინაო პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. ამისთვის საჭიროა, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და საჯარო პირებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენონ, რათა ამ პრობლემებს გაუმკლავდნენ. პოლიტიკურ პარტიებს სჭირდებათ პოზიტიური პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნა და ამომრჩეველთან ამ დღის წესრიგის ეფექტიანი კომუნიკაცია, ხოლო საჯარო მოხელეებს სჭირდებათ უზრუნველყონ საკუთარი დამოუკიდებლობა ქართული ოცნებისგან.

სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება დაახლოებით 2012 წლის მსგავსი მასშტაბის მობილიზება. თუმცა, დღეს არ არსებობს ერთი კონკრეტული მოთამაშე, რომელსაც შეუძლია დააფინანსოს საზოგადოების მობილიზება და კონსოლიდაცია და მიმართოს ეს რესურსი არჩევნების მოგებისკენ. ამ ეტაპზე, ეს ახლა პოლიტიკური პარტიების საშინაო დავალებაა. ამ პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლია სამი მთავარი რამის გაკეთება: ამომრჩეველთან ეფექტიანი კომუნიკაცია, მათ შორის, ისეთ ამომრჩეველთან, რომელიც ქართული ოცნების შიშის კამპანიის მსხვერპლია; დააკვირდეს წინასაარჩევნო კამპანიებს და არჩევნებს; გამართონ კონსულტაციები და წააქეზონ პარტიები თანამშრომლობისკენ.

კომუნიკაციის ნაწილი უნდა ფოკუსირდეს ქართული ოცნების ნარატივების დეკონსტრუქციაზე პოტენციური ომის, სუვერენიტეტის, ასევე, ფსევდო ევროპელობის ნაწილზე. აუცილებელია, რომ საზოგადოების ყველა ფენამდე მივიდეს ეს პროცესი, განსაკუთრებით, დედაქალაქის მიღმა. მონიტორინგის ნაწილი უნდა კონცენტრირდეს ქართული ოცნების აქტივობის სკრუპულოზურ დაკვირვებაზე და იმ დარღვევების გამოაშკარავებაზე, რომელიც განსაკუთრებით, ელექტორალურ კლიენტელიზმთანაა დაკავშირებული, რაც როგორც წესი, ფარულია და რთული გამოსააშკარავებლად.

და ბოლოს, კონსულტაციის ნაწილი უნდა მიემართებოდეს პარტიებისთვის დახმარებას, შექმნან პოზიტიური პროგრამატული დღის წესრიგი და კამპანია, რომ ამომრჩეველი იყოს საქმის კურსში იმის შესახებ, თუ რა ტიპის პოლიტიკურ ხედვებს უნდა ელოდეს ის არჩევნების შემდეგ. გარდა ამისა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პარტიებმა მცირე რესურსები შეაჯერონ და ერთობლივად დაუპირისპირდნენ კლიენტალისტურ პრაქტიკას, რომელსაც ქართული ოცნება ინტენსიურად იყენებს. ამ თვალსაზრისით, ამომრჩევლის მობილიზება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი გამოსავალი. პრიორიტეტი უნდა იყოს კონსენსუალური პოლიტიკის მობილიზება, განსაკუთრებით, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ქართული ქარტიის ქოლგის ქვეშ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

ექსპერტ კომენტარში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„საქართველოს გადახრა ავტორიტარიზმისკენ: შეუძლია თუ არა საერთაშორისო საზოგადოებას დემოკრატიის გადარჩენა?“ ექსპერტთა კომენტარი #27, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2024.

© Georgian Institute of Politics, 2024
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge